ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №34

29 მარტი, 2024 წელი
11:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, თინათინ ნიბლოშვილი, ნათია მოდებაძე, გურამ ოქროპირიძე, ნინო კვიტაიშვილი და გიორგი შარაშიძე.

თბილისის საკრებულოში ორი კომისიის - განათლებისა და კულტურის, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ **(წერილის №12-032408771-03; 27.03.2024)** განხილვა.

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.** კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს გაიოზ თალაკვაძეს, რომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, რომლის თანახმად სამხედრო

სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლების 100% ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა შემოსავლების ნაწილში მცირდება სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლები - 50,0 ათასი ლარით, ხოლო იზრდება პროცენტები - 4 050,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 4 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 008 389,6 ათას ლარს.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებაში წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით აღნიშნული სფეროების ხელშემწყობი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად ასიგნები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

იზრდება:

- მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 450,0 ათასი ლარი;
- იურიდიული კლინიკა (კოდი 07 05 02) – 14,5 ათასი ლარი;
- პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) – 44,1 ათასი ლარი;
- საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) – 24,8 ათასი ლარით;
- ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) – 53,1 ათასი ლარი;
- კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 2 475,3 ათასი ლარი;
- საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) პროგრამის ასიგნებები - 60,0 ათასი **ლარი.**

მცირდება:

- კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) ქვეპროგრამის ასიგნებები - 13,1 ათასი ლარი;
- შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნებები – 44,1 ათასი ლარი.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა შემდეგ პროგრამასა და ქვეპროგრამებში, კერძოდ: საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდის" მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 2 ერთეულით, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონის მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 1 ერთეულით.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	2 (ნინო კვიტაიშვილი, გიორგი შარაშიძე)

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე